შეტყობინება მეექვსე

## გავხდეთ ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხის კვლავწარმოქმნა სიცოცხლის მსახურებისათვის

ადგილები წერილიდან: იოანე 1:4; 12:24; 15:1, 4-5; 1 იოანე 5:16; 2 კორ. 4:12

I. **ღმერთის სახლმშენებლობაში ჩვენ ვართ არა მარტო ისინი, ვინც ჭამს სიცოცხლის ხეს; ჩვენ ასევე ვართ ამ ხის ლერწები, და ჩვენ შეგვიძლია შედეგად გავხდეთ პატარა სიცოცხლის ხე, რომელიც წარმოქმნის ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხეს – 1 პეტ. 2:21; იოანე 1:4; 12:24; 15:1, 4-5;**

ა. ღმერთის განზრახვა არის ის, რომ ყველა მორწმუნე ქრისტეში გახდეს ქრისტეს, ღმერთკაცის, კვლავწარმოქმნა – 12:24; რომ. 8:29:

1. იმისათვის, რომ გავხდეთ ქრისტეს კვლავწარმოქმნა, ჩვენ უნდა ხელახლა დავიბადოთ პნევმატური ქრისტესაგან ჩვენს სულში, ხოლო შემდეგ თანდათან გარდავისახოთ პნევმატური ქრისტეს მეშვეობით ჩვენს სულში – იოანე 3:6; 2 კორ. 3:18.
2. ჩვენ ვხდებით კვლავწარმოქმნა ქრისტესი იმ პროცესის წყალობით, რომლის დროსაც სიმდიდრე ღვთაებრივი სიცოცხლისა რიგდება ჩვენში და ჩვენ განვიცდით მას – ეფეს. 3:8; კოლ. 3:4, 10-11.
3. იმისათვის, რომ გავხდეთ ქრისტეს როგორც ჩვენი მოდელის კვლავწარმოქმნა, ჩვენ უნდა განვიცადოთ ქრისტე როგორც ის, ვინც ცხოვრობს ჩვენში, წარმოიქმნება ჩვენში და იწყობს თავისთვის სახლს ჩვენს გულებში – გალ. 2:20; 4:19; ეფეს. 3:16-17ა.
4. მასთან ერთად, რაც ჩვენ ვხდებით ქრისტეს კვლავწარმოქმნა, ჩვენ სპონტანურად ვცხოვრობთ ქრისტეს მისი სულის უხვი შეწევნის წყალობით – ფილიპ. 1:19, 21.

ბ. სიცოცხლის ხე დაბ. 2:9-ში იყო ერთადერთი, მაგრამ ეს სიცოცხლის ხე იყო დარგული ჩვენში და ახლა იზრდება ჩვენში, ნებას გვაძლევს, გავხდეთ პატარა სიცოცხლის ხე.

II. **ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხის კვლავწარმოქმნას, ჩვენ გვაქვს სიცოცხლის მსახურება – 1 იოანე 5:16; 2 კორ. 4:12:**

ა. ვინაიდან ჩვენ ვართ მორწმუნეები ქრისტეში და ღმერთის შვილები, ჩვენ გვაქვს არა მარტო მარადიული სიცოცხლე და შეგვიძლია განვიცადოთ მარადიული სიცოცხლე, ჩვენ ასევე შეგვიძლია მივუტანოთ ეს სიცოცხლე ქრისტეს სხეულის სხვა ასოებს – 1 იოანე 5:11-16.

ბ. მივუტანოთ სიცოცხლე – ნიშნავს ჩავნერგოთ სიცოცხლე; როდესაც ჩვენ გვაქვს სიცოცხლის სიჭარბე, ჩვენ შეგვიძლია მივუტანოთ ამ შეწევნიდან სხვებს – 1:1-2; 2:25; 5:11-13, 16.

გ. მსახურება ეკლესიაში არის მსახურება, რომელსაც მოაქვს სიცოცხლე, შეწევნის მსახურება სხვებისათვის ღვთაებრივი სიცოცხლით – 2 კორ. 4:12:

*© Living Stream Ministry, 2022*

1. ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ამან და უნდა ვუყუროთ უფალს, რათა ჩვენი მსახურება გახდეს საშუალება მისი სიცოცხლის გამოსვლისათვის – იოანე 11:25; 1 იოანე 1:2.
2. სიცოცხლე, რომლითაც ჩვენ ვამარაგებთ სხვებს, არის სულში, სული შერწყმულია ჩვენს სულთან, და ღმერთის სიცოცხლე იმყოფება, რჩება და იზრდება შერწყმულ სულში – 1 კორ. 15:45ბ; 6:17; რომ. 8:4:
   ა) თუ ჩვენ გვინდა, მოვამარაგოთ წმიდანები სიცოცხლით, ჩვენ უნდა გამოვათავისუფლოთ ჩვენი სული, რადგან ღვთაებრივი სიცოცხლე არის ჩვენს შერწყმულ სულში – 7:6; 1:9.
   ბ) თუ ჩვენს სულს არ შეუძლია გამონთავისუფლება, ღვთაებრივ სიცოცხლეს არა აქვს არავითარი შესაძლებლობა, რომ გამოთავისუფლდეს – 8:10.

დ. თუ ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ როგორც ქრისტეს კვლავწარმოქნამ როგორც სიცოცხლის ხემ, ჩვენ უნდა ღრმად გავიმსჭვალოთ იმით, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შეგვეძლოს მივიტანოთ სიცოცხლე – 1 იოანე 5:11-16:
1. მსახურება, რომელიც ღმერთს უნდა ჩვენგან, კონცენტრირებულია არა რაიმე სამუშაოს შესრულებაზე, არამედ სიცოცხლის მიტანაზე – მუხ. 16.
2. სხვებისათვის სიცოცხლის მიტანისათვის, ჩვენ უნდა შევუერთდეთ ქრისტეს, დავრჩეთ ქრისტეში და მივცეთ მას ჩვენში საფუძველი, აგვავსოს ჩვენ, რათა მისი სიცოცხლე, მისი ბუნება, მისი სიმპატიები და მისი მიდრეკილებები გახდეს ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ბუნება, ჩვენი სიმპატიები და ჩვენი მიდრეკილებები – 2:27; ეფეს. 3:16-17.

ე. მივუტანოთ სიცოცხლე – ნიშნავს გვქონდეს სიცოცხლის დინება; ჩვენი მსახურება არის ღმერთის დინება სხვების შეწევნისათვის ღვთაებრივი სიცოცხლით – იოანე 19:34; 7:37-39:
1. სიცოცხლე – არის ღმერთის შემადგენლობა და ღმერთის დინება; ღმერთის შემადგენლობა არის ღმერთის არსება, ხოლო ღმერთის დინება არის მისი როგორც სიცოცხლის ჩანერგვა ჩვენში – ეფეს. 4:18; გამოცხ. 22:1.
2. იმისათვის, რომ სიცოცხლე გამონთავისუფლდეს ჩვენი სულიდან, ჩვენი შინაგანი ადამიანი უნდა დაექვემდებაროს სამუშაოს და დაიმსხვრეს – 2 კორ. 4:16; ებრ. 4:12:
   ა) თუ ჩვენი შინაგანი ადამიანი არ არის დამსხვრეული, არ გვექნება ღვთაბერივი სიცოცხლის სუფთა დინება – იოანე 7:38.
   ბ) თუ ჩვენ გვინდა, რომ ღვთაებრივი სიცოცხლე გამონთავისუფლდეს ჩვენგან, ჩვენ უნდა ვიყოთ დამორჩილებულნი ჩვენს სამშვინველში და ნება უნდა მივცეთ ჩვენს სულს იუფლოს და მართოს ნებისმიერ საკითხზე; მაშინ უფლის სიცოცხლე შეძლებს დინებას – ეფეს. 3:16-17.
3. იმისათვის, რომ გვქონდეს სიცოცხლის დინება, ჩვენ უნდა ვიყოთ ერთი ქრისტესთან მის სიცოცხლის გამომთავისუფლებელ სიკვდილში; ამის

*© Living Stream Ministry, 2022*

მეშვეობით ჩვენ ვართ გაიგივებულნი გაპობილ ქრისტესთან, რომლის წინასახეც არის გაპობილი კლდე – იოანე 19:34; გამ. 17:6:

ა) როდესაც ჩვენ ვართ ერთი ქრისტესთან როგორც გაპობილ კლდესთან, ღვთაებრივი სიცოცხლე როგორც ცოცხალი წყალი იღვრება ჩვენგან – მუხ. 6; იოანე 7:38.

ბ) ჩვენი ადამიანური სიცოცხლე, ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლე, უნდა იყოს გაპობილი, რათა ჩვენგან იღვრებოდეს ცოცხალი წყალი – 2 კორ. 4:10-11, 16.

გ) თუ ჩვენ ვიქნებით ერთი გაპობილ ქრისტესთან, ჩვენ განვიცდით ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლის ჯვარცმას, და მაშინ, მსგავსად იმისა თუ როგორ გადმოიღვარა ქრისტეს ღვთაებრივი სიცოცხლე როგორც ცოცხალი წყალი მისი ადამიანური სიცოცხლის გაპობის შედეგად, ჩვენ ასევე განვიცდით სიცოცხლის წყლის დინებას ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლის გაპობის შედეგად – მუხ. 10-12.

ვ. თუ ჩვენ გვინდა, რომ მივუტანოთ სიცოცხლე სხვებს, ჩვენ უნდა თავი დავაღწიოთ ეკლესიაზე სიკვდილის, ჯოჯოხეთის კარიბჭის თავდასხმებს – მათე 16:18; რომ. 5:17:

1. განმასხვავებელი ნიშანი იმისა, რაც არის ღმერთისაგან, არის სიცოცხლე, ხოლო განმასხვავებელი ნიშანი იმისა, რაც არის სატანისაგან, არის სიკვდილი; ეკლესიაში ყველაფერი გამომდინარე ღმერთისაგან არის სიცოცხლე, ხოლო ყველაფერი გამომდინარე სატანისაგან არის სიკვდილი – იოანე 11:25; ებრ. 2:14.
2. იმას, რაც შეეხება ეკლესიას, სატანას ყველაზე მეტად ეშინია მისი წინააღმდეგობისა სატანის სიკვდილის ძალის წინააღმდეგ – 2 ტიმ. 1:10.
3. მარადიულ სიცოცხლეს ჩვენში შეუძლია გაიმარჯვოს სიკვდილზე ჩვენშიც და ეკლესიის სხვა ასოებშიც – 1 იოანე 5:11-13, 16.
4. ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხის კვლავწარმოქმნამ, ჩვენ უნდა განვიცადოთ მარადიული სიცოცხლე და მივუტანოთ ეს სიცოცხლე სხვებს, ვიყოთ არხი, რომლის მეშვეობითაც მარადიულ სიცოცხლეს შეუძლია იდინოს – 7:37-39; ფილიპ. 1:24-25.

*© Living Stream Ministry, 2022*